“პლანეტარული ჯანმრთელობა და ნარჩენების მართვა”

- ავთანდილ სამადალაშვილი
- მედეა კუსიანი

პროექტი ეხება გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების პრობლემებს და მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობას და ინფორმირებას ამ საკითხებზე. ის ხელს უწყობს ეკოლოგიურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას, მდგრადი განვითარების გზების პოპულარიზაციას და ახალგაზრდა თაობის აქტიურ მონაწილეობას. პროექტში მონაწილეობენ თსა, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები (CENN, MCK, Sadagi) და სოციალური საწარმოების წარმომადგენლები (Plasticwatcher, Tene), რომლებიც ახალგაზრდებს მიაწვდიან ინფორმაციას, ჩაატარებენ ტრენინგებს და მოაწყობენ ღონისძიებებს, როგორიცაა ეკო-დალაგების აქციები და კონფერენციები, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, ისაუბრონ პრობლემებზე.

“საფრთხის ჩურჩული: დეციბელის ეფექტის შესწავლა გულისცემაზე”

- რიშუ გირიშ შაჰ
- თამარ დანდურიშვილი

პროექტის საბოლოო მიზანია საგანმანათლებლო ფილმის შექმნა, რომელიც იკვლევს ხმოვან დაბინძურებასა და გულ-სისხლძარღვთა ჯანმრთელობას შორის კავშირს. ფილმი მოიცავს ხმის დაბინძურების გავლენას ურბანულ გარემოში და მის გავლენას ჯანმრთელობაზე. პროექტის მიზანია ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში, რათა თითოეულმა მათგანმა გადადგას ქმედითი ნაბიჯები მდგრადი და ჯანსაღი ქალაქის შესაქმნელად. პროექტი ასევე მხარს უჭერს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს.

“Special Needs Support”

- თათა ტატალაშვილი
- ელენე საჯაია
- სესილი ლაზარია
- ანა ჩიქოვანი

პროექტი მიზნად ისახავს შშმ პირების საზოგადოებაში ადაპტაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას. სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებული არიან სოციალური ცვლილებების განხორციელებით, ითანამშრომლებენ თსა-ს გუნდთან, რათა ხელი შეუწყონ შშმ პირების საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებას. პროექტის მიზანია, შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც შშმ პირებს შესაძლებლობა მიეცემათ აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან, პროექტი მიმართულია სოციალურ ცვლილებებზე, რომელიც ხელს შეუწყობს თანასწორობას, სოლიდარობას და ერთიანობას საზოგადოებაში.

“სტუდენტები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის”

- მარიამ ჯორბენაძე
- ნანა ყაჭიური
- მარიამ ქევხიშვილი
- საბა ჩიქობავა
- ელენე ლილუაშვილი
- ელენე გუბელაძე

პროექტი მიზნად ისახავს გურჯაანის რეგიონში (კახეთი), საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, კერძოდ არტერიული ჰიპერტენზიის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უნარ-ჩვევების სწავლებას. პროექტი მოიცავს საინფორმაციო და პრაქტიკულ ღონისძიებებს, მათ შორის ჰიპერტენზიის სკრინინგის ჩატარებას და გადაუდებელი დახმარების ვორქშოპს. ასევე, კახეთის მოსახლეობისთვის სამედიცინო განათლების ხელმისაწვდომობას, რათა შემცირდეს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკები და შემცირდეს სიცოცხლისთვის საშიში შემთხვევები. პროექტი ასევე მოიცავს სტატისტიკურ კვლევას, რომელიც შეაფასებს მის ეფექტიანობას და შეიძლება გახდეს მოდელი სხვა რეგიონებისთვის.

“VitalCare”

- ლევან ბახტაძე
- მარიამ ბერძენიშვილი
- ლია თევდორაძე
- თამარ ქობულაშვილი
- ნინო ჩხუტიშვილი

პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის სანდო სამედიცინო ინფორმაციის მიწოდებას, რათა ხელი შეუწყოს ადამიანებს, დროულად და სწორად მოახდინონ რეაგირება გადაუდებელ სიტუაციებში. პროექტის მიზანია, თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტებმა გაუზიარონ საზოგადოებას ის ცოდნა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ადამიანებს იზრუნონ სხვა ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებაზე. პროექტი მიმართულია იმ მიზნისკენ, რომ ფართო მასშტაბით გავრცელდეს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაცია და შემცირდეს დაუდევრობისა და ინფორმაციის სიმწირის გამო გამწვავებული ფატალური შემთხვევები. ასევე, განათლება გახდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი, რადგან ეს ადამიანის სიცოცხლეს ეხება.